



საბაზრო სტიმულები, განაწილებითი სისტემები და მათი შედეგებითი დახასიათება

ედუარდ კავთიძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

E-mail: eduardi4@mail.ru

ქვეყნის განვითარების დონე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საბაზრო ურთიერთობების სრულყოფაზე - რაც მეტად სრულყოფილია საბაზრო ურთიერთობები, მით მეტად განვითარებულია ქვეყნის ეკონომიკა, რაც ხელს უწყობს ქვეყნის წინსვლასა და პროგრესს.

საბაზრო ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედია შრომითი სტიმულები, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაკავშირებული ხელფასთან, რომლის ზრდაც განაპირობებს ამ მთავარი სტიმულის ზრდასაც.

ხელფასის, როგორც შრომის სტიმულის მოქმედება, ასახვას პოულობს შრომის მიწოდების სიდიდეში, მაგრამ მიწოდება და მოთხოვნა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან. შრომის მიწოდების ზრდა ნიშნავს შრომის ბაზარზე კონკურენციის ზრდას სამუშაო ადგილების დასაკავებლად. ჭარბი მოთხოვნა იწვევს ხელფასის გაზრდას, რადგან ამ დროს დამქირავეები იმყოფებიან ერთმანეთთან კონკურენციაში.

მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთქმედების საკითხის განხილვა შესაძლებელია გამართლებულიც იყოს აღნიშნული მიზნით, მაგრამ შრომის სტიმულების საკითხის კვლევისათვის ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია ამ საკითხის კავშირის უფრო სრული განხილვა საბაზრო სტიმულების, კერძოდ - მომგებიანობის დონის საკითხთან მიმართებაში.

მთლიან შემოსავალში მშრომელის წვლილის დასადგენად შრომის ზღვრული პროდუქტი უნდა გადავიყვანოთ ზღვრული პროდუქტის ღირებულებაში. აქ აღსანიშნავია პირობითი მონაცემები, რომელთა მიხედვით „მესამე მშრომელს შემოაქვს მოგება; მაგრამ ამის შემდეგ ახალი მშრომელის დაქირავება არამომგებიანია“.

როდესაც ხელფასის დონე იზრდება, შრომაზე მოთხოვნა მცირდება, ხოლო როდესაც ხელფასი მცირდება, პირიქით ხდება. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეკონომიკის ციკლური განვითარება უფრო ხშირად საპირისპირო სურათით ხასიათდება - აღმავლობის ფაზაში დამახასიათებელია ხელფასისა და შრომაზე მოთხოვნის პარადოქსური ზრდა, ხოლო კრიზისის ფაზაში - მათი პარადოქსური შემცირება: როდესაც

საც მომგებიანობა მაკროეკონომიკური მასშტაბით იზრდება, შედეგად იზრდება აგრეთვე შრომაზე მოთხოვნა და ხელფასის დონე, ხოლო როდესაც მომგებიანობა ეცემა მაკროეკონომიკური მასშტაბით და იზრდება იმ ფირმების რიცხვი, რომელთა ზღვრული პროდუქტი ზარალიანია, ეცემა აგრეთვე შრომაზე მოთხოვნა და ხელფასის დონე. მომგებიანობის ზრდის ან შემცირების ფაქტორები, რომლებიც ციკლურ რყევებს იწვევენ, მათში განხილული არ არის.

მეწარმეობრივი და შრომის სტიმულების დარგში, სახელმწიფო პოლიტიკის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მსჯელობის გაგრძელებას: „მაგრამ სწორი იქნება დანახარჯების ეკონომია მაშინვე გახდეს მეწარმის პრიორიტეტული საზრუნავი, როგორც კი ზღვრული დანახარჯი ვეღარ მოთავსდება ფასის ფარგლებში, თუნდაც ამ დროს საშუალო დანახარჯი მცირე იყოს და მოგება - მაღალი“.

ეკონომიკურ ციკლთან კავშირში ზრდის ეს ტიპები ახსნილია შემდეგნაირად: „ინტენსიური ეკონომიკური ზრდა, ნორმალურ (სხვა თანაბარ) პირობებში გვაძლევს წარმოების ეფექტიანობის ზრდას; მაგრამ შესაძლებელია, ეფექტიანობა უცვლელი დარჩეს; უფრო მეტიც, შეიძლება უცვლელი დარჩეს წარმოების მოცულობაც. ინტენსიური მეთოდები რომ არა, ექსტენსიურ ზრდას ჩიხში შეყავს საზოგადოება. იგი აწყდება დამატებითი რესურსების მოპოვების პრობლემას. ეს კი, დანახარჯებს ზრდის ისეთ ზღვარს ხემათ, რომ წარმოების ფუნქციონირება შეუძლებელი ხდება“. მაშასადამე, ამის შედეგად იწყება ეკონომიკური კრიზისი.

მაშასადამე, ინტენსიური ზრდა საბაზრო ეკონომიკაში შეენაცვლება ექსტენსიურს მას შემდეგ, რაც მომგებიანობა მცირდება და ზღვრული პროდუქტი ზარალიანი შეიძლება აღმოჩნდეს. როგორც უკვე აღინიშნა, ამ დროს წარმოების გაფართოება უაზროა. მაგრამ ვინაიდან ინტენსიური ზრდის სტიმული გაძლიერდა მომგებიანობის შემცირებისა და ზღვრული პროდუქტის ზარალიანობის შედეგად, რადგან მის ფაქტ



ტორებს ძიება სჭირდება.

საბაზრო ურთიერთობების პირობებში, ზღვრული პროდუქტის გაძვირებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ხელფასის ზრდა. შრომითი რესურსი მაკროეკონომიკურ ასპექტში ყველაზე უფრო შეზღუდული რესურსია. უპირატესად ექსტენსიური ზრდის პირობებში ხდება ამ რესურსის არსებული რეზერვების შეწოვა, უმუშევართა მასობრივი დასაქმება. ამას შედეგად მოსდევს, ერთი მხრივ, უფრო დაბალი ხარისხის სამუშაო ძალის გამოყენება ანუ ხელფასის შეფარდებითი ზრდა შრომის სასარგებლო ეფექტზე გაანგარიშებით; მეორე მხრივ კი – შრომით რესურსზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის შეცვლა და ხელფასის აბსოლუტური ამაღლება. ერთიც და მეორეც მძლავრად იჩენს თავს იმ მომენტში, როდესაც ეკონომიკა სრული დასაქმების ნიშნულს უახლოვდება.

ახლა, რაც შეეხება განაწილებითი სისტემების შედარებით დახასიათებას. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს განაწილების ორი ძირითადი, სამართლებრივად აღიარებული სისტემა - თავისუფალი, ანუ გარიგებითი და დირექტიული. უპირატესად, პირველს ემყარება კაპიტალისტური, ხოლო მეორეს სოციალისტური სისტემები, მაგრამ ფაქტობრივად ისინი იყენებენ ორივეს. რაც შეეხება კანონგარეშე განაწილების ფორმებს (გამოძალა, ძარცვა, ქურდობა და სხვ.), ისინი ტიპურია ყველა საზოგადოებრივი სისტემისათვის.

განაწილების თავისუფალი, კაპიტალისტური ფორმა, ძალადაუტანებლად განიცდის ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლას. განაწილების ეს სისტემა, რომელიც წარმოქმნილია ბუნებრივ-ეკოლუციური გზით, ტრადიციული განაწილებითი სისტემის საფუძველზე წარმოიშვა. მაშასადამე, მისი ისტორიული განვითარების შედეგია. განაწილების თავისუფალი, გარიგებითი სისტემა წარმოებაში მონაწილე სუბიექტების შეთანხმებას, წარმოების ფაქტორების ფლობასა და ამ ფაქტორთა საზოგადოებრივად ჩამოყალიბებულ შეფასებას ეყრდნობა, რომელიც გარეგნულად თითქოს სრულიად ობიექტურია. მშრომელი ადამიანი საზოგადოების დოვლათიდან იღებს შემოსავალს თავისი შრომის საფასურად, მეწარმე იღებს შემოსავალს, როგორც მშრომელი წარმოების ორგანიზატორი, რომელიც რისკს ეწევა. უკანონო გზებით, უხეში ძალადობრივი ფაქტორებით, ადამიანები შეიძლება იღებდნენ ან კარგავდნენ შემოსავლებს, მაგრამ ეს ხდება განაწილების ნორმალური სისტემის მიღმა. ინდივიდთა შემოსავლების

დონე დამოკიდებულია განაწილების ფაქტორთა სიდიდეზე და საზოგადოებრივი ფონდების განაწილების მექანიზმზე.

განაწილების დირექტიული წესი, რომელიც თავისი არსით ძალადაუტანებელია, განვითარების ბუნებრივი პროცესის ძალდატანებითი შეცვლის გზითაა აღმოცენებული. მას თითქოს მიზნად აქვს დასახული მოკლე დროში შეცვალოს განაწილების მანამდე არსებული უსამართლობა, შემოიღოს ახალი, უფრო მეტად პროგრესული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობასა და ობიექტურობას. განაწილების ეს სისტემა ძალადაუტანებელია იმიტომაც, რომ გულისხმობს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების ნებისა და მიზნების განხორციელებას დიქტატის გზით, რომლებიც აუცილებელია აღსრულებისათვის, ხოლო განაწილების სუბიექტების უფლებები შეზღუდულია, მათი ინტერესები და სურვილები შეცვლილია ცენტრალური ორგანოების ინტერესებით. თავისუფალი არჩევანი მინიმუმამდეა შეკეცილი. განაწილების ძირითად, კანონიერად არსებულ ფაქტორებად მოცემული საზოგადოებრივი პირობებისათვის რჩება შრომა და სახელმწიფო ძალაუფლება.

დირექტიული, ფაქტობრივად - სოციალისტური განაწილების დროს მუშაკის წილი ფორმალურად დამოკიდებულია დოვლათის შექმნაში დახარჯულ შრომის რაოდენობასა და ხარისხზე, ფაქტობრივად კი მისი სიდიდის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს სახელმწიფოს პოლიტიკა და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა ნება, რაც არ ემთხვევა განაწილების სუბიექტთა ინტერესებს, უზუღუპელყოფს მუშაკთა ნამდვილი წილის განსაზღვრის აუცილებლობას შექმნილ დოვლათში. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ასეთი სისტემა ვერ ახორციელებს სათანადო ეკონომიკურ სტიმულირებას, იწვევს სუბიექტივიზმს განაწილების სფეროში, საზოგადოების დოვლათის გამოყენებისას.

მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის შემოსავლების განაწილების ერთ-ერთი მთავარი ასპექტი მისი დიფერენციაციაა. იგი ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა, რომელსაც ობიექტური საფუძველი გააჩნია, მაგრამ არის მეორე საკითხიც: თუ რამდენად სამართლიანია მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის დიდი განსხვავება (უთანაბრობა) შემოსავლების დონის მიხედვით.

ადამიანების განსხვავებული ნიჭი და შესაძლებლობანი განაპირობებს მათი შემოსავლების დიდ განსხვავებას. რამდენად სწორია, რომ ადამი-



ანებს შორის არსებობდეს ასეთი განსხვავებები შემოსავლებში? ეს არის მთავარი პრობლემატური საკითხი, რომელსაც თითქმის ყოველთვის უპასუხოდ ტოვებენ. განაწილების საკითხის განხილვისას იგი აუცილებლად უნდა დადგეს. იმ საზოგადოებაში, სადაც არ არის გამართლებული, უზომო განსხვავებები მოქალაქეთა შემოსავლებში, განაწილება უფრო გათანაბრებულია, რაც ქვეყნის სტაბილურობის მხედველად.

განაწილების ფაქტორის გათვალისწინებით საკუთრება თავისი ისტორიული ნიშნით ორნაირია: ერთი - პირად შრომაზე და დამსახურებაზე დამყარებული საკუთრების და მეორე - პირადი შრომის, დამსახურების გარეშე წარმოქმნილი საკუთრების სახით. რადგან საკუთრება (წარმოების საშუალებები) დოვლათის შექმნის წყაროდ გვევლინება, მას მფლობელისათვის მოაქვს შემოსავალი. რაც მეტია წარმოების საშუალებათა საკუთრების რაოდენობა, მით მეტია შემოსავალი.

მოგებას არ ქმნიან არც მხოლოდ მუშები და არც მეწარმეები, არამედ მის შექმნაში მონაწილეობს მთელი კაცობრიობა - საყოველთაო

საზოგადოებრივი ფაქტორები, კაპიტალის მესაკუთრე მას ითვისებს არსებული საზოგადოებრივი მექანიზმის, როგორც განაწილების ფაქტორის მეშვეობით.

განაწილების ფაქტორები სისტემები, რომლებიც გარეგნულად მისაღები ჩანს, თავისი ნამდვილი არსით ანტიადამიანური, ანტი საზოგადოებრივი იყო და ასეთად დარჩა, რომელიც უპირისპირდება ნამდვილ ადამიანურ პრინციპებს, თუმცა კი ურყევი რეალობაა.

ამ რეალობის არსებობაში დიდია ადამიანთა მატერიალური დოვლათისადმი ინტერესების წვლილი, რაც სულიერი განვითარების ნაკლი უფროა, ვიდრე აუცილებლობა. მატერიალური ნივთები უფრო მეტად მიიჩნევა ბედნიერების წყაროდ, ვიდრე ბუნებრივი ნიჭი, ცოდნა, მშვენიერება, ზნეობა და სხვ. ქონებრივი ინტერესების გამოვლინებას ადამიანები ისეთ სულიერ სიბეცემდე მიჰყავთ, რომ მათ ავიწყდებათ არა მარტო სიმართლე, სამართალი, ზნეობა, არამედ ადამიანური გრძნობებიც უახლოესი პიროვნებებისადმი.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ დოვლათი, სიმდიდრე უსაზღვრო მოთხოვნილებების საგნადაა ქცეული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. გრეგორი მენქიუ. „ეკონომიკის პრინციპები“.
2. პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი. „ეკონომიკა“. თბ. 2000. ნაწ. II.
3. რონალდ ჯ. ერენბერგ, რობერტ ს. სმიტ. *Современная экономика труда. Теория и государственная политика*. Издательство Московского университета. 1995. ст. 86-89.

4. Лори Дж. Грифит, Анна С. Оржера. *Проблемы мотивации персонала в общем менеджменте*. См. книгу: «Оплата по результату. Из опыта оплаты труда персонала в США». Второе издание. Под общей редакцией Питера Т. Чингоса. Издательство «Диалектика». Москва - Санкт-Петербург - Киев. 2004, с. 176.
5. Бар Р. – „Политическая экономия“, т. 2, М., 1995, стр. 191.

INTERACTION OF DEMAND AND DISTRIBUTIVE SYSTEMS AND THEIR COMPARATIVE DESCRIPTION

EDUARD KAVTIDZE - acad. doctor of Economy
E-mail: eduardi4@mail.ru

Incentives in the labor market are linked to the salary level, which leads to an increase in the growth of this important incentive, but there are some exceptions. Addition, the worker is not interested in increasing savings, which could keep them.

Wages as an incentive for labor activity, reflected in the size of the labor supply, But supply and demand are closely related to each other. Labor supply growth means increased competition in the labor market, filling jobs. Excess demand leads to an increase in wages, because employers are competing this time.

Between labor supply and demand actions on the issue of possible to be justified, but the issue of incentives for study, we will consider this issue in a more complete discussion of market incentives, including an escalating level of profitability.